

დამტკიცებულია შპს „საქართველოს ფოსტის“

გენერალური დირექტორის .2025 წლის

№ ბრძანებით

სახმელეთო ამაღათის ქვეყნის გარეთ გაგზავნის პირობები

სარჩევი

1. ზოგადი დებულებები	3
2. ქვეყნის გარეთ გასაგზავნი სახმელეთო ამანათის მახასიათებლები	3
3. სახმელეთო ამანათის მიღება და დანიშნულების ქვეყანაში გაგზავნა	4
4. გასაგზავნად მიღებული სახმელეთო ამანათის გაგზავნის, ტრანსპორტირებისა და ჩაბარების ვადები	5
5. აკრძალვები და შეზღუდვები სახმელეთო ამანათის შიგთავსის მიმართ	6
6. სახმელეთო ამანათის შეფუთვის წესი.....	9
7. სახმელეთო ამანათის შიგთავსის შემოწმება.....	11
8. დამატებითი სერვისები	11
9. პასუხისმგებლობა.....	13
10. ასანაზღაურებელი ზიანის ოდენობა.....	15
11. შპს „საქართველოს ფოსტის“ მიერ რეკლამაციის განხილვის წესი და გადაწყვეტილების მიღება ზიანის ანაზღაურების თაობაზე	16
12. დასკვნითი დებულებები.....	18
დანართი #1.....	19
1. საბერძნეთი.....	19
2. ესპანეთი.....	21
3. იტალია.....	23
4. საფრანგეთი.....	27
5. გერმანია.....	30
6. შვეიცარია.....	32
7. პოლონეთი.....	34
8. ავსტრია.....	36
9. ჩეხეთი.....	38
10. ბელგია.....	39

11.	სომხეთი.....	41
12.	სლოვაკეთი.....	43
13.	ნიდერლანდები.....	44
14.	ინგლისი.....	46
15.	ლიეტუვა.....	47
16.	ლატვია.....	48
17.	ესტონეთი.....	49
18.	ირლანდია.....	50

1. ზოგადი დებულებები

- 1.1. შპს „საქართველოს ფოსტა“ მომხმარებელს სთავაზობს სახმელეთო გზით ამანათის გაგზავნას საქართველოს ფარგლებს გარეთ - წინასწარ დეკლარირებულ ქვეყნებში და მის ჩაბარებას ადრესატისათვის, წინამდებარე დოკუმენტით დადგენილი პირობების შესაბამისად, რომელიც წარმოადგენს სტანდარტული სახელშეკრულებო პირობების ერთობლიობას.
- 1.2. ქვეყნებისა და იმ ქალაქების ჩამონათვალი, სადაც შპს „საქართველოს ფოსტა“ სახმელეთო ამანათის გაგზავნას ახორციელებს, აგრეთვე სახმელეთო ამანათის კონკრეტულ ქალაქებამდე ტრანსპორტირებისა და მათი ადრესატისთვის ჩაბარების პირობები და ვადები მოცემულია დანართ #1-ში. აღნიშნული დანართი ასევე შეიცავს ინფორმაციას თითოეულ ქვეყანასთან/ქალაქთან მიმართებაში დადგენილი პირობებისა თუ დაწესებული შეზღუდვების შესახებ. კონკრეტულ ქვეყანასთან/ქალაქთან მიმართებაში დაწესებული პირობა, წინამდებარე დოკუმენტის ტექსტთან შედარებით ითვლება უპირატესი ძალის მქონედ.
- 1.3. შპს „საქართველოს ფოსტა“ მომხმარებლის პერსონალური მონაცემების დამუშავებას ახორციელებს მოქმედი კანონმდებლობისა და შპს „საქართველოს ფოსტის“ „მომხმარებლის პერსონალური მონაცემების დამუშავების პოლიტიკის“ შესაბამისად, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე დოკუმენტის განუყოფელ ნაწილს, ხელმისაწვდომია შპს „საქართველოს ფოსტის“ ყველა სერვისცენტრში და განთავსებულია ვებგვერდზე www.gpost.ge.

2. ქვეყნის გარეთ გასაგზავნი სახმელეთო ამანათის მახასიათებლები

- 2.1. ქვეყნის გარეთ გასაგზავნ სახმელეთო ამანათს აქვს მაიდენტიფიცირებელი ნომერი, რომელიც იწყება ლათინური ასოებით: GPG.
- 2.2. სახმელეთო ამანათის წონა არ უნდა აღემატებოდეს 20 კგ-ს, ხოლო მედიკამენტების შემთხვევაში - 300 გრამს. სახმელეთო ამანათის ზომა არ უნდა აღემატებოდეს 80სმX80სმX80სმ-ს.
- 2.3. სახმელეთო ამანათის დაზღვევა შესაძლებელია მისი დაკარგვისა და გარეგანი დაზიანების, აგრეთვე ჩაბარების ვადის გადაცილების რისკისგან. ამასთან, სახმელეთო ამანათის დაზღვევის შემთხვევაში, მისი ფასდადებით გაგზავნა არ არის შესაძლებელი.
- 2.4. ადრესატისათვის ჩაუბარებელი სახმელეთო ამანათის უკან გამგზავნისათვის დაბრუნება არ ხორციელდება. იმ შემთხვევაში, თუ ვერ მოხდება სახმელეთო ამანათის ადრესატისათვის ჩაბარება (მათ შორის, თუ ადრესატი უარს განაცხადებს სახმელეთო ამანათის ჩაბარებაზე), მისი მიღებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში, ის განადგურდება ადგილზე.
- 2.5. გამგზავნს უფლება არ აქვს სახმელეთო ამანათით გააგზავნოს ის ნივთები და საქონელი, რომელთა გაგზავნაც აკრძალულია წინამდებარე დოკუმენტის მე-5 პუნქტის შესაბამისად.
- 2.6. სახმელეთო ამანათის გაგზავნის ღირებულება (გარდა მედიკამენტებისა) გამოითვლება ფაქტიური წონისა და შპს „საქართველოს ფოსტის“ მიერ ამავე კატეგორიის გზავნილზე 1 კგ-სთვის დადგენილი ტარიფის ნამრავლით. 1 კგ-მდე წონის ამანათის გაგზავნის შემთხვევაში, მომხმარებელი იხდის ფიქსირებულ - 1კგ-სთვის დადგენილ ტარიფს.
- 2.7. სახმელეთო ამანათით მედიკამენტების გაგზავნის შემთხვევაში, მომხმარებელი იხდის ფიქსირებულ ტარიფს.
- 2.8. თუ სახმელეთო ამანათის როგორც გამგზავნს, ასევე ადრესატს ფიზიკური პირი წარმოადგენს, ამანათის გაგზავნის ღირებულების გადახდა შესაძლოა განხორციელდეს მისი გაგზავნისას - გამგზავნის მიერ, ან ფასდადების პირობით, რაც გულისხმობს გაგზავნის ღირებულების გადახდას ადრესატის მიერ - სახმელეთო ამანათის ჩაბარებისას. ამასთან, კონკრეტული ქვეყნის/ქალაქის მიმართულებით სახმელეთო ამანათის გასაგზავნისას შესაძლოა დადგინდეს ამ დებულებისგან განსხვავებული პირობები.
- 2.9. სახმელეთო ამანათის გაგზავნა იურიდიული პირის მიერ შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას წინასწარ აქვს დადებული ხელშეკრულება შპს „საქართველოს ფოსტასთან“. ასეთ შემთხვევაში, სახმელეთო ამანათის ფასდადების პირობით გაგზავნა არ ხდება, ხოლო მხარეთა შორის ანგარიშწორება ხორციელდება ურთიერთშორის დადებული ხელშეკრულების პირობების საფუძველზე.

3. სახმელეთო ამანათის მიღება და დანიშნულების ქვეყანაში გაგზავნა

- 3.1. ქვეყნის გარეთ გასაგზავნ სახმელეთო ამანათს შპს „საქართველოს ფოსტა“ მომხმარებლისგან იღებს საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებული სერვისცენტრების საშუალებით. ამასთან, თუ

გამგზავნის წინასწარ აქვს გაფორმებული ხელშეკრულება შპს „საქართველოს ფოსტასთან“, მას საშუალება აქვს სახმელეთო ამანათი გააგზავნოს კურიერის გამოძახების საშუალებით.

3.2. მომხმარებელმა სახმელეთო ამანათის გაგზავნისას სავალდებულო წესით უნდა წარადგინოს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, ასევე სრულად და ზუსტად უნდა მიაწოდოს გაყიდვების ოპერატორს შემდეგი სავალდებულო ინფორმაცია:

გამგზავნის/წარმომდგენის შესახებ:

- ვინაობა;
- პირადი ნომერი/საიდენტიფიკაციო ნომერი;
- მისამართი;
- მობილური ტელეფონის ნომერი.

ადრესატის შესახებ:

- ვინაობა;
- ტელეფონის ნომერი (**მნიშვნელოვანია ზუსტი ტელეფონის ნომრის მითითება**);
- მიმღები ქვეყანა;
- მიმღები ქალაქი.
- პირადი ან პასპორტის ნომერი - სავალდებულოა მხოლოდ სომხეთის მიმართულებით ამანათის გაგზავნისას

4. გასაგზავნად მიღებული სახმელეთო ამანათის გაგზავნის, ტრანსპორტირებისა და ჩაბარების ვადები

4.1. შპს „საქართველოს ფოსტა“ სახმელეთო ამანათების დანიშნულების ქვეყნების მიხედვით გაგზავნას ახორციელებს:

- **ორშაბათ დღეს** - ყველა მიმართულებით გარდა სომხეთისა;
- **ხუთშაბათ დღეს** - სომხეთის, საბერძნეთისა და იტალიის ქალაქების - ბარის, ნაპოლის, სალერნოს, აველინოსა და რომის მიმართულებით.

4.2. იმისათვის, რომ სახმელეთო ამანათი **ორშაბათ დღეს** გაიგზავნოს დანიშნულებით, ის შპს „საქართველოს ფოსტას“ უნდა გადაეცეს:

- თბილისისა და რუსთავის სერვისცენტრებში - არაუგვიანეს შაბათი დღის 14:00 საათამდე;
- სპეციალურ ადმინისტრაციულ ერთეულებში არსებულ სერვისცენტრებში - არაუგვიანეს ხუთშაბათი დღის 14:00 საათამდე (ფოსტის ცვლის განხორციელებამდე);
- სხვა დანარჩენ სერვისცენტრებში - არაუგვიანეს პარასკევი დღისა (ფოსტის ცვლის განხორციელებამდე);

4.3. იმისათვის, რომ სახმელეთო ამანათი ხუთშაბათ დღეს გაიგზავნოს სომხეთის, საბერძნეთისა და იტალიის 4.1 პუნქტში მოცემული ქალაქების მიმართულებით, ის შპს „საქართველოს ფოსტას“ უნდა გადაეცეს:

- სპეციალურ ადმინისტრაციულ ერთეულებში არსებულ სერვისცენტრებში - არაუგვიანეს ორშაბათი დღის 14:00 საათამდე (ფოსტის ცვლის განხორციელებამდე);
- სხვა დანარჩენ სერვისცენტრებში - არაუგვიანეს სამშაბათი დღისა (ფოსტის ცვლის განხორციელებამდე);

გასათვალისწინებელია! მალფუჭებადი პროდუქტის შემცველი სახმელეთო ამანათის შპს „საქართველოს ფოსტისთვის“ გასაგზავნად გადაცემა, რეკომენდირებულია არა უადრეს პუნქტი 4.1.-ში აღნიშნულზე არუმეტეს 2 დღით ადრე. თუ გამგზავნი არ ითვალისწინებს შპს „საქართველოს ფოსტის“ რეკომენდაციას, ასეთი გზავნილის გასაგზავნად მიღება შესაძლებელია მხოლოდ გაგზავნის საფასურის გამგზავნის მიერ გადახდის პირობით.

4.4. დანიშნულების ქვეყანაში შპს „საქართველოს ფოსტის“ აგენტების ოფისების მისამართებზე სახმელეთო ამანათის მიწოდება ხორციელდება №1 დანართში მოცემულ ვადებში.

4.5. ინფორმაციას გზავნილის დანიშნულების ქვეყანაში ჩასვლის შესახებ, გამგზავნი მიიღებს SMS შეტყობინების სახით.

4.6. სახმელეთო ამანათის შპს „საქართველოს ფოსტის“ აგენტების ოფისებამდე ტრანსპორტირების შემდგომ, ადრესატი უფლებამოსილია შპს „საქართველოს ფოსტის“ აგენტის მიერ სახმელეთო ამანათის მიღებიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში განახორციელოს ვიზიტი აგენტის ოფისში და ჩაიბაროს სახმელეთო ამანათი, თუ სახმელეთო ამანათი ისეთ ქალაქში იგზავნება, სადაც აგენტის ოფისის ნაცვლად მხოლოდ გაცემის პუნქტია (ინფორმაცია ქვეყნების მიხედვით მოცემულია №1 დანართში), ადრესატს გზავნილის ჩაბარების საშუალება ექნება მხოლოდ ასეთი გაცემის პუნქტების სამუშაო დღეებსა და საათებში.

5. აკრძალვები და შეზღუდვები სახმელეთო ამანათის შიგთავსის მიმართ

5.1. დაუშვებელია ისეთი სახმელეთო ამანათის გაგზავნა, რომელიც არ შეესაბამება წინამდებარე დოკუმენტითა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს, მათ შორის, აკრძალულია სახმელეთო ამანათის გაგზავნა თაღლითობის ხელშესაწყობად ან გადასახდელი თანხის გადახდის თავიდან არიდების მიზნით.

5.2. სახმელეთო ამანათით აკრძალულია შემდეგი დოკუმენტების/ნივთების გაგზავნა:

- 5.2.1. ნარკოტიკები და ფსიქოტროპული ნივთიერებები, ნარკოტიკებზე კონტროლის საერთაშორისო კომიტეტის განსაზღვრების შესაბამისად, ან დანიშნულების ქვეყანაში აკრძალული სხვა ნივთიერებები;
- 5.2.2. სახიფათო ტვირთის კატეგორიის მიკუთვნებული საგნები, მათ შორის:

- ❖ ინერტული ფეთქებადი მოწყობილობა და საბრძოლო მასალა, მათ შორის, ინერტული ყუმბარები და ჭურვები და სხვა ანალოგიური საგნები, ასევე ასეთი მოწყობილობების და საგნების მულაჟები;
 - ❖ რადიაქტიული ნივთიერებები;
 - ❖ ინფექციური ნივთიერებები.
- 5.2.3. ნებისმიერი საგნები, რომლებიც დაკავშირებულია პედოფილიასა და ბავშვთა პორნოგრაფიასთან;
- 5.2.4. კონტრაფაქტული და მეკობრული, ასევე სხვისი სასაქონლო ნიშნით უკანონოდ ნიშანდებული (მარკირებული) ან ფალსიფიცირებული ნივთები;
- 5.2.5. ცოცხალი ცხოველები;
- 5.2.6. ფულის ნიშნები, ძვირფასი ლითონი და/ან ქვები, ასევე მათი ნაკეთობები;
- 5.2.7. პირადობის დამადასტურებელი ნებისმიერი დედანი დოკუმენტი (პასპორტი; პირადობის მოწმობა; ბინადრობის მოწმობა; მართვის მოწმობა და სხვა);
- 5.2.8. თამბაქო და თუთუნი;
- 5.2.9. ხორცი და ხორცის ნაწარმი, გარდა 5.3.2. პუნქტით განსაზღვრული ხორცის ნაწარმისა;
- 5.2.10. არაქარხნული წარმოების ნებისმიერი სითხე, რომელშიც დუდილი არ არის დასრულებული ან ის გაზირებულია (მათ შორის: მადუღარი ტკბილი; მაჭარი; ცქრიალა ღვინო; ზადაგი და სხვა);
- 5.2.11. საგნები, რომლებიც თავიანთი ხასიათით ან შეფუთვით შესაძლოა საფრთხეს უქმნიდეს ფოსტის თანამშრომლებს ან მესამე პირებს, აზინძურებდეს ან აფუჭებდეს სხვა გზავნილებს, საფოსტო ტექნიკას ან მესამე პირის საკუთრებას;
- 5.2.12. ნივთი, თუ ის იგზავნება კომერციული დანიშნულებით.

5.3. ქვემოთ ჩამოთვლილი პროდუქტების/ნივთების გაგზავნა შესაძლებელია შემდეგი

შეზღუდვებით (თუ დამატებითი აკრძალვა არ მოქმედებს კონკრეტულ ქვეყანასთან მიმართებაში):

- 5.3.1. თაფლი - არაუმეტეს 3კგ-სა;
- 5.3.2. ტექნოლოგიური დამუშავების შედეგად მიღებული შებოლილი, დამარილებული ან გამხმარი ხორცი - არაუმეტეს 3 კგ-ისა;
- 5.3.3. ნებისმიერი სახის ყველი - არაუმეტეს 4 კგ-სა (მოთავსებული ჰერმეტიკულად, დახურულ პლასტმასის კონტეინერში, სითხის გარეშე);
- 5.3.4. ალკოჰოლური სასმელი:
- (ა) ქარხნული წარმოების - არაუმეტეს 2 (ორი) ბოთლისა, რომლის საერთო მოცულობამ არ უნდა გადააჭარბოს 5 (ხუთ) ლიტრს.
 - (ბ) არაქარხნული წარმოების (მოთავსებული პლასტმასის ბოთლში, რომლის მოცულობაც არ უნდა აჭარბებდეს 3 (სამ) ლიტრს) -
- ღვინო და/ან ლუდი ერთობლივად - არაუმეტეს 10 (ათი) ლიტრისა;

● ნებისმიერი სხვა სახეობის ალკოჰოლური სასმელი (გარდა 5.2.10 პუნქტით დადგენილი გასაგზავნად აკრძალული სასმელისა) - არაუმეტეს 5 (ხუთი) ლიტრისა.

5.3.5. ერთგვაროვანი სახეობის ახალი/უხმარი ნივთი, არაუმეტეს 2 ერთეულისა (მაგ: 3 ცალი ახალი შარვალი, 4 ცალი ახალი ქამარი და ა.შ.).

5.3.6. დოკუმენტის (გარდა პირადობის დამადასტურებელი ნებისმიერი დედანი დოკუმენტისა) გაგზავნა შესაძლებელია მხოლოდ სხვა ნივთთან/ პროდუქტთან ერთად.

5.3.7. მედიკამენტები (გარდა ნარკოტიკული ან/და ფსიქოტროპული ნივთიერების შემცველი მედიკამენტებისა) - მხოლოდ ქარხნული შეფუთვით და არაუმეტეს 300 გრამისა. ამასთან:

(ა) ერთი სახეობის აბები - არ უნდა აღემატებოდეს 10 (ათ) ფირფიტას;

(ბ) სხვა ტიპის (მათ შორის, სითხის შემცველი) მედიკამენტები - არ უნდა აღემატებოდეს 300 გრამს.

შენიშვნა:

მედიკამენტების გაგზავნა შესაძლებელია მხოლოდ დამოუკიდებელ სახმელეთო ამანათად. მასთან ერთად სხვა საქონლის/პროდუქტის გაგზავნა დაუშვებელია.

5.4. ნებისმიერი ქვეყანა უფლებამოსილია წინამდებარე დოკუმენტის 5.1.-5.3. პუნქტებით განსაზღვრული აკრძალვებისა და შეზღუდვების გარდა, საკუთარ ქვეყანაში შემავალი სახმელეთო ამანათის შიგთავსის მიმართ დაადგინოს დამატებითი აკრძალვები და შეზღუდვები. შესაბამისად, კონკრეტულ ქვეყანაში სახმელეთო ამანათის გაგზავნისას წინამდებარე დოკუმენტის 5.1.-5.3. პუნქტებით განსაზღვრულ აკრძალვებთან და შეზღუდვებთან ერთად, ასევე მოქმედებს შესაბამისი ქვეყნის მიერ დადგენილი მოთხოვნები.

5.5. თუ სახმელეთო ამანათის შიგთავსის მიმართ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილია დამატებითი დოკუმენტის (ნებართვის) წარდგენის ვალდებულება, ასეთი გზავნილის გაგზავნა განხორციელდება გამგზავნის მიერ მხოლოდ შესაბამისი დოკუმენტის წარმოდგენის შემდეგ.

5.6. შპს „საქართველოს ფოსტა“ უფლებამოსილია უარი თქვას სახმელეთო ამანათის გაგზავნაზე, თუ მიიჩნევს, რომ ის შეიცავს წინამდებარე დოკუმენტის 5.1. და 5.2. პუნქტებით განსაზღვრულ აკრძალულ შიგთავსს, ან იგზავნება წინამდებარე დოკუმენტის 5.3. პუნქტით დადგენილი შეზღუდვების გაუთვალისწინებლად.

5.7. სახმელეთო ამანათი დანიშნულების ქვეყანაში გაგზავნამდე გადის უსაფრთხოებისა და საბაჟო კონტროლს. თუ აღნიშნული პროცედურის გავლისას მასში აღმოჩენილი იქნება დოკუმენტი/ნივთი, რომლის გაგზავნაც აკრძალულია მოქმედი კანონმდებლობით, ან მისი გადაზიდვა შესაძლოა საფრთხის შემქმნელი იყოს სატრანსპორტო საშუალებისთვის, ასეთი სახმელეთო ამანათი დაექვემდებარება ამოღებას და/ან გამგზავნისათვის დაბრუნებას.

6. სახმელეთო ამანათის შეფუთვის წესი

- 6.1. გზავნილის სათანადოდ შეფუთვაზე პასუხისმგებელია გამგზავნი. მან უნდა უზრუნველყოს გზავნილის იმგვარი შეფუთვა, რომ არ მოხდეს მისი შიგთავსის, აგრეთვე მასთან ერთად გადასაზიდი სხვა გზავნილების დაზიანება (მათ შორის დასველება; გაფუჭება) ტრანსპორტირების დროს.
- 6.2. გზავნილი უნდა შეიფუთოს იმგვარად, რომ არ დაიფაროს მასზე დატანილი ინფორმაცია. შეფუთვის ზედაპირი უნდა იძლეოდეს მასზე მისამართის ან ტრანსპორტირებისთვის საჭირო სხვა იარაღების/შტამპების დაკვრის/დატანის საშუალებას.
- 6.3. გზავნილის შესაფუთად რეკომენდირებულია გამოყენებულ იქნას ხის, ფანერის, პოლიმერული, პენოპლასტის - მყარი ყუთები;
- 6.4. გამგზავნის მიერ გზავნილის შეფუთვა უნდა განხორციელდეს მისი წონის, ფორმის და შიგთავსის მასალისა და ხასიათის (თხევადი; მსხვრევადი; მყარი და ა.შ.) მიხედვით, ასევე გზავნილის ტრანსპორტირების ხანგრძლივობის გათვალისწინებით.
- 6.5. გზავნილი უნდა იყოს შეფუთული იმაზე გათვლით, რომ:
 - გაუძლოს დიდ მანძელზე ტრანსპორტირებას;
 - მრავალჯერად გადატვირთვას ან დამუშავებას, დახარისხებას;
 - კლიმატის, ტემპერატურის და წნევის ცვალებადობას.
 - ფიზიკურ ზემოქმედებას, ზეწოლას, ვიბრაციას, რყევას.
- 6.6. გზავნილის სათანადოდ შეფუთულად ითვლება მაშინ, თუ იგი 80 კგ-ის ზეწოლისა და/ან 80 სმ სიმაღლიდან მყარ ზედაპირზე თავისუფალი ვარდნის შემდეგ დაუზიანებელი რჩება.
- 6.7. მეორადი შესაფუთი მასალის გამოყენება დაშვებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მასზე სათანადოდ წაშლილია ყველა ძველი მაიდენტიფიცირებელი ნომერი, მისამართი თუ სხვა ტიპის ინფორმაცია, რომელმაც შესაძლოა შეცდომაში შეიყვანოს „საქართველოს ფოსტის“ თანამშრომელი, გზავნილის დახარისხების და/ან მისი ადრესატისთვის ჩაბარებისას.
- 6.8. გამგზავნის მიერ შესაფუთი მასალის შერჩევისას გათვალისწინებული უნდა იყოს გზავნილის შიგთავსის სახეობა/თვისებები, მისი წონა და ფორმა. შესაფუთმა მასალამ და შიგთავსის სწორად შეფუთვამ უნდა უზრუნველყოს მისი დაცვა და მთლიანობის შენარჩუნება ტრანსპორტირებისას (მაგ. ყუთში სიცარიელის დატოვების შემთხვევაში, ის შესაძლოა დაიპრესოს/დაიჩუტოს, ხოლო ზედმეტად სავსე ყუთი - პირიქით, შინაგანი ზემოქმედების შედეგად გასკდეს).
- 6.9. თუ გზავნილში რამოდენიმე ნივთია მოთავსებული, აღნიშნული ნივთები უნდა შეიფუთოს ცალ ცალკე და ამის შემდეგ მოხდეს მათი მყარად განთავსება გასაგზავნ შეფუთვაში.
- 6.10. მნიშვნელოვანია, რომ გზავნილის რყევის შემთხვევაში, მასში მოთავსებული ნივთები არ მოძრაობდეს. შიგთავსის მოძრაობის შესაზღუდად, გზავნილის შიგნით რეკომენდებულია გამოყენებულ იქნას შემდეგი შემავსებელი მასალები :

- მუყაო;
- გაზეთი;
- ჰაერ-ბუმტოვანი ცელოფანი;
- პოროლონის ღრუბელი;
- პენოპლასტი;
- კრაფტის ქაღალდი;

6.11. გზავნილი ყველა მხრიდან მყარად უნდა იყოს დახურული, რათა გამოირიცხოს ტრანსპორტირებისა და დამუშავების პროცესში გზავნილიდან ნივთის გადმოვარდნა. ამ მიზნით, გამგზავნმა უნდა დაიცვას შემდეგი წესები:

6.11.1. ყუთის გამოყენებისას, გზავნილის დალუქვა უნდა მოხდეს, მინ. 5სმ-იანი თვითწებადი ლენტის, მთელი გზავნილის ირგვლივ, არანაკლებ სამჯერადი შემოტარებით.

6.12. შიგთავსის სახეობის მიხედვით გზავნილის შეფუთვისას, დაცული უნდა იყოს შეფუთვის შემდეგი წესები:

6.12.1. **სითხე ან ისეთი ნივთიერება, რომელიც ადვილად იქცევა სითხედ**, უნდა მოთავსდეს ჰერმეტიკულად დახურულ კონტეინერში/პლასტმასის ბოთლში, რომელიც უნდა მოთავსდეს მყარ ყუთში, ყუთი ამოვსებული უნდა იყოს შესაბამისი დამცავი მასალით რომელიც კონტეინერის/პლასტმასის ბოთლის დაზიანების შემთხვევაში მთლიანად შეიწოვს სითხეს.

6.12.2. **ცხიმის შემცველი ნივთიერებები, რომლებიც ადვილად არ გადაიქცევა სითხედ**, როგორიცაა საცხები, ნახევრად თხევადი საპონი, ფისი და სხვა, პირველადი შესაფუთი მასალით (ყუთი, ნაჭრის ტომარა, პლასტმასის კონტეინერი და სხვ.) უნდა მოთავსდეს მყარ ყუთში იმგვარად, რომ თავიდან იქნას აცილებული შიგთავსის გაჟონვა.

6.12.3. **მშრალი საღებავი ფხვნილები, როგორიცაა მეთილენის ლურჯი და სხვა**, დაიშვება მხოლოდ ჰერმეტიკულად დახურულ ლითონის ყუთებში, რომლებიც თავის მხრივ განთავსებული უნდა იქნას შესაბამისი შემწოვი და დამცავი მასალით ამოვსებულ მყარ ყუთებში.

6.12.4. **მშრალი არასაღებავი ფხვნილები** უნდა განთავსდეს მყარ კონტეინერებში (ყუთი, ტომარა), რომლებიც თავის მხრივ განთავსდება მყარ ყუთებში.

6.12.5. **მინისგან დამზადებული ან სხვა მსხვრევადი/მტვრევადი ნივთები** უნდა შეიფუთოს ჰაერ-ბუმტოვანი ცელოფნით, ქსოვილით ან სხვა მსგავსი შესაფუთი მასალით და მოთავსდეს მყარ ყუთში, რომელიც ამოვსებული იქნება შესაბამისი დამცავი მასალით, რათა ტრანსპორტირების პროცესში თავიდან იქნას აცილებული ნივთსა და ყუთის კედლებს შორის ხახუნი, ხოლო თუ გზავნილში რამდენიმე ნივთია - ასევე ამ ნივთებს შორის ხახუნი.

6.12.6. **წვეტიანი ან ბასრი ნივთები** უნდა განთავსდეს მყარ ყუთში, ხოლო თავად ყუთში - წვეტიანი და ბასრი ნაწილები უნდა შეიფუთოს ისეთი მასალით (ჰაერ-ბუმტოვანი ცელოფანი, თვითწებადი ლენტი და ა.შ.), რომელიც უზრუნველყოფს როგორც თავად ამ ნივთის უსაფრთხოებას ტრანსპორტირების დროს, ასევე ყუთის შესაძლო დაზიანების შემთხვევაში - დაიცავს სხვა გზავნილებს დაზიანებისგან.

7. სახმელეთო ამანათის შიგთავსის შემოწმება

- 7.1. ქვეყნის დატოვებამდე, სახმელეთო ამანათი გაივლის შიგთავსის სკანერით დათვალიერების პროცესს. შემოწმების შედეგად, საექვოდ მიჩნეული ამანათები გადადის დათვალიერების ოთახში, სადაც ხდება მათი გახსნა, შიგთავსის დეტალური შესწავლის მიზნით. აღნიშნული პროცესი ხორციელდება ვიდეო კამერების მეთვალყურეობის ქვეშ.
- 7.2. ამანათის შიგთავსის შემოწმების მიზნით, გზავნილის გახსნის შემდგომ, მასზე აუცილებელი წესით ეკვრება შესაბამისი წებოვანი სტიკერი, რომელზედაც დატანილია ტექსტი - „**გახსნილია შიგთავსის შემოწმების მიზნით**“.
- 7.3. გზავნილის გამგზავს, უფლება აქვს რეკლამაციის განაცხადით მოითხოვოს შიგთავსის დათვალიერების ამსახველი ვიდეო ჩანაწერის ნახვა, გზავნილის გაგზავნიდან არაუმეტეს **ერთი თვის** განმავლობაში.
- 7.4. ამანათში აკრძალული ნივთის აღმოჩენის შემთხვევაში, შპს „საქართველოს ფოსტა“ მოქმედებს ამავე დოკუმენტის მე-9 მუხლის შესაბამისად. ამასთან, თუ გზავნილის გახსნის და შიგთავსის დათვალიერებისას, მასში აღმოჩნდება რაიმე სახის სამკაული/ნაკეთობა, რომელზედაც არ იქნება წარმოდგენილი შესაბამისი დოკუმენტი ან მასზე არ იქნება დატანილი აღნიშვნა, რომ ნაკეთობა არ შეიცავს ოქროს, ვერცხლს ან სხვა ძვირფას მეტალს ან ძვირფას ქვებს, შპს „საქართველოს ფოსტა“ იტოვებს უფლებას, ასეთი ნივთის შემადგენელი მასალის დადგენის მიზნით, მოახდინოს მისი შპს „საქართველოს ფოსტის“ ლიცენზირებული ექსპერტისთვის გადაცემა. აღნიშნული მომსახურება უფასოა, ხოლო ექსპერტიზის ვადა განისაზღვრება 7 სამუშაო დღის ვადით. თუ ექსპერტი დაადგენს, რომ ნივთი დამზადებულია ძვირფასი მეტალისგან და/ან ძვირფასი ქვისგან, ამანათი უბრუნდება გამგზავნს მე-9 მუხლის შესაბამისი პირობებით, ხოლო სხვა შემთხვევაში, ამანათი იგზავნება დანიშნულების ქვეყანაში, გასაგზავნი ამანათების შემდეგ პარტიასთან ერთად.

8. დამატებითი სერვისები

8.1. დამატებითი სერვისი - „**გზავნილის გაგზავნაზე უარის თქმა**“.

8.1.1. სერვისით სარგებლობა შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ გამგზავნის მიერ უარის თქმის განაცხადი დაფიქსირდება გზავნილის შპს „საქართველოს ფოსტისთვის“ გადაცემიდან არაუგვიანეს:

ა) **შაბათი დღის 14:00 საათამდე**, თუ გზავნილი გადაცემულია „საქართველოს ფოსტის“ თბილისში ან რუსთავეში განლაგებული სერვისცენტრისთვის ოთხშაბათიდან შაბათის ჩათვლით, ან სამშაბათს ფოსტის ცვლის შემდეგ;

ბ) სამშაბათი დღის 14:00 საათამდე, თუ გზავნილი გადაცემულია „საქართველოს ფოსტის“ თბილისში ან რუსთავეში განლაგებული სერვისცენტრისთვის შაბათს ფოსტის ცვლის შემდეგ, ორშაბათს ან სამშაბათს;

გ) ხუთშაბათი დღის 14:00 საათამდე, თუ გზავნილი გადაცემულია „საქართველოს ფოსტის“ სპეციალურ ადმინისტრაციულ ერთეულებში განლაგებული სერვისცენტრებისთვის სამშაბათიდან ხუთშაბათის ჩათვლით, ან ორშაბათს ფოსტის ცვლის შემდეგ;

დ) ორშაბათი დღის 14:00 საათამდე, თუ გზავნილი გადაცემულია „საქართველოს ფოსტის“ სპეციალურ ადმინისტრაციულ ერთეულებში განლაგებული სერვისცენტრებისთვის ხუთშაბათს ფოსტის ცვლის შემდეგ, პარასკევს, შაბათს ან ორშაბათს;

ე) პარასკევი დღის 14:00 საათამდე, თუ გზავნილი გადაცემულია „საქართველოს ფოსტის“ პუნქტი „ა“, „ბ“, „გ“ და „დ“ - ში აღნიშნული სერვისცენტრების გარდა ნებისმიერ სხვა სერვისცენტრში სამშაბათს ფოსტის ცვლის შემდეგ, ოთხშაბათს, ხუთშაბათს ან პარასკევს, ხოლო **სამშაბათი დღის 14:00 საათამდე,** თუ გზავნილი გადაცემულია პარასკევს ფოსტის ცვლის შემდეგ, შაბათს, ორშაბათს ან სამშაბათს.

- 8.1.2. სერვისით სარგებლობა უფასოა, თუ გამგზავნი გზავნილის უკან დაბრუნებას მოითხოვს გზავნილის გაგზავნის დღესვე იმ სერვისცენტრისთვის მიმართვის გზით, სადაც მის მიერ მოხდა სახმელეთო ამანათის გასაგზავნად ჩაბარება. სერვისის უფასოდ მისაღებად, აუცილებელია გამგზავნმა წარმოადგინოს სახმელეთო ამანათის გაგზავნის ღირებულების გადახდის დამადასტურებელი ქვითარი. ასეთ შემთხვევაში, გამგზავნს იმავე სერვისცენტრში უკან უბრუნდება გზავნილიც და მის მიერ გადახდილი სახმელეთო ამანათის გაგზავნის ღირებულებაც.
- 8.1.3. გარდა 8.1.4.-ით განსაზღვრული შემთხვევისა, სერვისით სარგებლობა ფასიანია და ის შეადგენს გაგზავნის ღირებულების 50%-ს.
- 8.1.4. თუ სერვისით სარგებლობა ისეთ ამანათზე ხორციელდება, რომელიც ფასდადებით იგზავნებოდა, სერვისის ღირებულების (გაგზავნის ღირებულების 50%) გადახდა გამგზავნმა სახმელეთო ამანათის უკან დაბრუნებამდე უნდა განახორციელოს. სერვისის ღირებულების გადახდამდე, სახმელეთო ამანათის გამგზავნისთვის უკან დაბრუნება არ ხორციელდება.
- 8.1.5. გზავნილის გაგზავნაზე უარის თქმა და/ან გადახდილი გაგზავნის ღირებულების უკან დაბრუნების (სერვისის ღირებულების თანხის გამოკლებით) მოთხოვნა გამგზავნს შეუძლია როგორც უშუალოდ შპს „საქართველოს ფოსტის“ სერვისცენტრში, ასევე დისტანციურად, ხელმოწერილი განაცხადის, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლისა და სერვისის ღირებულების გადახდის დამადასტურებელი ქვითრის (პუნქტი 8.1.4.-ის შემთხვევაში) ელექტრონულ ფოსტაზე services@gpost.ge გამოგზავნის გზით.
- 8.1.6. სერვისით სარგებლობის შემთხვევაში, გამგზავნს სახმელეთო ამანათი უკან უბრუნდება იმავე სერვისცენტრში, რომელშიც მან მოახდინა მისი გასაგზავნად ჩაბარება, ხოლო თუ გამგზავნის

მიერ ასევე მოთხოვნილია გადახდილი სახმელეთო ამანათის გაგზავნის ღირებულების უკან დაბრუნება, მისი ჩარიცხვა ხორციელდება გამგზავნის საბანკო ანგარიშზე, სერვისის ღირებულების თანხის (გაგზავნის ღირებულების 50%) გამოკლებით.

8.2. დამატებითი სერვისი - „დაზღვევა“

- 8.2.1. მომხმარებელს, საშუალება აქვს დამატებითი საფასურის სანაცვლოდ დააზღვიოს სახმელეთო ამანათი რეალური ღირებულებით, მისი დაკარგვის და გარეგანი დაზიანების, აგრეთვე ჩაბარების ვადის გადაცილების რისკისგან. რეალურ ღირებულებად მიიჩნევა ამანათის გაგზავნისას დეკლარირებული თანხა, რომელიც არ შეიძლება იყოს მის საბაზრო ღირებულებაზე მეტი. ამასთან, სადაზღვევო თანხის ზღვრული ოდენობაა - 2000 სსუ (SDR).
- 8.2.2. გამგზავნი ვალდებულია დაზღვეული სახმელეთო ამანათის გაგზავნისას მოახდინოს მისი შიგთავსის დეკლარირება თითოეული ნივთის დასახელების, წონისა და ფასის მითითებით. სახმელეთო ამანათში მოთავსებული ნივთების შერჩევით/ნაწილობრივ დაზღვევა არ არის შესაძლებელი.
- 8.2.3. სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შემთხვევაში, გამგზავნს მოეთხოვება დეკლარირებული ღირებულების დამადასტურებელი დოკუმენტის (მაგ. შესყიდვის საბუთი, საექსპერტო დასკვნა და ა.შ.) წარმოდგენა. ამასთან, თუ ამანათში მოთავსებული თითოეული ნივთის ღირებულება აღემატება 50 სსუ-ს, მისი დაზღვევა შესაძლებელია ამ ნივთის ღირებულების დამადასტურებელი დოკუმენტის წინასწარ წარმოდგენის საფუძველზე. აღნიშნული წესების დაუცველობის შემთხვევაში შპს „საქართველოს ფოსტა“ იტოვებს უფლებას, ანაზღაურება მოახდინოს იმ ოდენობით, რომელსაც მიიჩნევს სახმელეთო ამანათის შიგთავსის რეალურ ღირებულებად.

შენიშვნა: სსუ (SDR) - საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ შექმნილი ფულადი ერთეული (სესხის სპეციალური უფლება) - რომლის ღირებულებაც აშშ დოლარში ყოველდღიურად განისაზღვრება ლონდონის ბირჟაზე დაფიქსირებული სავალუტო გაცვლითი კურსის შესაბამისად და სავალუტო ფონდის ვებ-გვერდზე ქვეყნდება.

9. პასუხისმგებლობა

- 9.1. შპს „საქართველოს ფოსტის“ პასუხისმგებლობის მოცულობა მომხმარებლის წინაშე განისაზღვრება იმ პირდაპირი მატერიალური ზიანით, რომელიც მისი ბრალით იქნება გამოწვეული, მაგრამ არაუმეტეს წინამდებარე დოკუმენტით განსაზღვრული მაქსიმალური ზღვარისა.
- 9.2. წინამდებარე დოკუმენტის მიზნებისათვის, მატერიალურ ზიანში არ იგულისხმება მომხმარებლის არაპირდაპირი ზარალი, მათ შორის, მიუღებელი შემოსავალი.

- 9.3. შპს „საქართველოს ფოსტა“ მატერიალურ პასუხისმგებლობას იღებს იმ ზიანზე, რომელიც წარმოიშევა სახმელეთო ამანათის:
- 9.3.1. დაკარგვით. ამასთან, სახმელეთო ამანათი ითვლება დაკარგულად, თუ აღნიშნული ფაქტი დადასტურებულია შპს „საქართველოს ფოსტის“ აგენტის მიერ, ან თუ სახმელეთო ამანათის შესახებ ინფორმაციის მოპოვება ვერ მოხერხდა მისი გაგზავნიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში.
- 9.3.2. გარეგანი დაზიანებით ან დაკარგვით, თუ ეს დაზიანება იწვევს სახმელეთო ამანათის შიგთავსის მთლიან ან ნაწილობრივ დაზიანებას ან დაკარგვას. ამასთან, პასუხისმგებლობა დგება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გარეგანი დაზიანების ან დაკარგვის ფაქტი აღმოჩენილია სახმელეთო ამანათის ადრესატისთვის ჩაბარების მომენტში, შპს „საქართველოს ფოსტის“ უფლებამოსილი წარმომადგენლის თანდასწრებით, რაც დადასტურებული უნდა იყოს შესაბამის აქტზე მხარეთა ხელმოწერით.
- 9.3.3. სახმელეთო ამანათის ადრესატისთვის ჩაბარების ვადის დარღვევით. აღნიშნული ვადის გამოთვლისას მხედველობაში არ მიიღება საბაჟო ორგანოს ან სხვა სახელმწიფო უწყების გადაწყვეტილებით სახმელეთო ამანათის შეჩერების ვადა. ამასთან, პასუხისმგებლობა დგება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჩაბარების ვადის დარღვევით მიყენებული ზიანი აღმოჩენილია სახმელეთო ამანათის ადრესატისთვის ჩაბარების მომენტში (მალფუჭებადი ნივთის შემთხვევაში) შპს „საქართველოს ფოსტის“ უფლებამოსილი წარმომადგენლის თანდასწრებით, რაც დადასტურებული უნდა იყოს შესაბამის აქტზე მხარეთა ხელმოწერით ან იმ შემთხვევაში, თუ გამგზავნის მიერ წარმოდგენილი იქნება ექსპერტული/აუდიტორული შეფასება, რომლითაც დადასტურდება სახმელეთო ამანათის ვადის დარღვევით ჩაბარების გამო გამგზავნისთვის ზიანის მიყენების ფაქტი.
- 9.4. შპს „საქართველოს ფოსტა“ არ აგებს პასუხს არც ერთი ქვეყნის (საქართველოს, ტრანზიტული და დანიშნულების ქვეყნების) საბაჟო ორგანოს მიერ საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული გზავნილების მიმართ მიღებულ ნებისმიერ გადაწყვეტილებაზე.
- 9.5. შპს „საქართველოს ფოსტის“ პასუხისმგებლობა ასევე გამოირიცხება:
- 9.5.1. სახმელეთო ამანათის ადრესატისთვის ჩაუბარებლობის შემთხვევაში, რომლის მიზეზიც გამგზავნისგან მიღებული არასწორი (არასრულყოფილი) ინფორმაციაა;
- 9.5.2. დაუძლეველი ძალით გამოწვეული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, მათ შორის, როცა შპს „საქართველოს ფოსტას“ არ შეუძლია განახორციელოს გზავნილების აღრიცხვა, სამსახურეობრივი დოკუმენტების დაუძლეველი ძალის შედეგად განადგურების გამო;
- 9.5.3. თუ სახმელეთო ამანათის დაკარგვა, მისი შიგთავსის მთლიანი ან ნაწილობრივი დაზიანება ან წონის სხვაობა გამოწვეულია გამგზავნის ბრალით (მათ შორის, არასათანადო შეფუთვით) ან შიგთავსის თვისებებით;
- 9.5.4. იმ სახმელეთო ამანათების მიმართ, რომელიც შეიცავს გასაგზავნად აკრძალულ საგნებს;

- 9.5.5. იმ სახმელეთო ამანათების მიმართ, რომლის გაგზავნაც დაშვებულია მხოლოდ განსაკუთრებული პირობით, ასეთი პირობის დაუცველობის შემთხვევაში;
- 9.5.6. მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, სახელმწიფო ორგანოების მიერ სახმელეთო ამანათის დაკავების, განადგურების ან მისი ჩამორთმევის შემთხვევაში;
- 9.5.7. თუ სახმელეთო ამანათის დაზღვევის შემთხვევაში, დაზღვევა განხორციელებულია იმაზე მეტ თანხად, ვიდრე გზავნილის რეალური ღირებულებაა (ამ შემთხვევაში ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ გზავნილის რეალური ღირებულება);
- 9.5.8. თუ ანაზღაურების მიღების მიზნით გამგზავნი არაკეთილსინდისიერად მოქმედებს;
- 9.5.9. თუ მომხმარებელმა რეკლამაციით არ მიმართა შპს „საქართველოს ფოსტას“ სახმელეთო ამანათის გაგზავნის დღის მომდევნო დღიდან 2 (ორი) თვის განმავლობაში.

9.6. „გამგზავნი“ მატერიალურად პასუხისმგებელია:

- 9.6.1. სახმელეთო ამანათის გაგზავნისას შპს „საქართველოს ფოსტისთვის“ მიწოდებული ინფორმაციის სისწორეზე, მათ შორის, იმ შედეგზე, რომელიც მოჰყვება გზავნილის გაგზავნას დეკლარირების გარეშე, ან არასწორი/არასრულყოფილი დეკლარირებით;
- 9.6.2. იმ ზიანზე, რომელიც მიადგება შპს „საქართველოს ფოსტას“, მათ შორის მის თანამშრომელს, ქონებას ან მესამე პირების საფოსტო გზავნილებს, აკრძალული ნივთის გაგზავნის ან სახმელეთო ამანათის არასათანადოდ შეფუთვის გამო.

9.7. გამგზავნის პასუხისმგებლობა არ გამოირიცხება იმ შემთხვევაშიც, თუ შპს „საქართველოს ფოსტა“ გასაგზავნად მიიღებს სახმელეთო ამანათს, რომელიც შეიცავს აკრძალულ ნივთს, ან თუ გზავნილი შეფუთულია დადგენილი წესების დარღვევით, ან თუ გზავნილი არ არის დეკლარირებული ან ის დადეკლარირებულია არასწორად/არასრულად.

10. ანაზღაურებელი ზიანის ოდენობა

10.1. შპს „საქართველოს ფოსტა“ ანაზღაურებს ზიანს შემდეგი ოდენობით:

- 10.1.1. სახმელეთო ამანათის დაკარგვის, ან ისეთი გარეგანი დაზიანების გამო, რომელიც იწვევს მისი შიგთავსის მთლიანად დაზიანებას ან დაკარგვას -
 - გაგზავნის ღირებულებას + შიგთავსის დეკლარირებული ღირებულება, მაგრამ არაუმეტეს 8,33 სსუ (SDR) - თითოეული მეტობისკენ დამრგვალებული კილოგრამისთვის;
- 10.1.2. სახმელეთო ამანათის ისეთი გარეგანი დაზიანების გამო, რომელიც იწვევს მისი შიგთავსის ნაწილობრივ დაზიანებას ან დაკარგვას -

- დაზიანებული/დაკარგული ნივთის დეკლარირებული ღირებულება, მაგრამ არაუმეტეს 8,33 სსუ (SDR) - თითოეული მეტობისკენ დამრგვალებული კილოგრამისთვის;
- 10.1.3. სახმელეთო ამანათის ადრესატისთვის ჩაბარების ვადის დარღვევის შემთხვევაში, შპს „საქართველოს ფოსტა“ ანაზღაურებს შიგთავსის დეკლარირებულ ღირებულებას, მაგრამ არაუმეტეს 8,33 სსუ (SDR) - თითოეული მეტობისკენ დამრგვალებული კილოგრამისთვის.
- 10.1.4. დაზღვეული სახმელეთო ამანათის დაკარგვის, ან ისეთი გარეგანი დაზიანების გამო, რომელიც იწვევს მისი შიგთავსის მთლიანად დაზიანებას ან დაკარგვას -
 - გაგზავნის ღირებულებას + სახმელეთო ამანათის დაზღვეული ღირებულება;
- 10.1.5. დაზღვეული სახმელეთო ამანათის ისეთი გარეგანი დაზიანების გამო, რომელიც იწვევს მისი შიგთავსის ნაწილობრივ დაზიანებას ან დაკარგვას -
 - დაზიანებული/დაკარგული ნივთის დაზღვეული ღირებულება.

10.2. გამგზავნი ანაზღაურებს ზიანს შემდეგი ოდენობით:

- სახმელეთო ამანათში აკრძალული ნივთის, ან გზავნილის არასათანადო შეფუთვის აღმოჩენის შემთხვევაში - გაგზავნის ღირებულების 100%. ამასთან, ასეთ შემთხვევაში, სახმელეთო ამანათი დანიშნულებით არ იგზავნება, ხოლო თუ გზავნილი ფასდადებით იგზავნებოდა, მისი გაგზავნის ღირებულების გადახდამდე, გამგზავნს გზავნილი უკან არ უბრუნდება.

11. შპს „საქართველოს ფოსტის“ მიერ რეკლამაციის განხილვის წესი და გადაწყვეტილების მიღება ზიანის ანაზღაურების თაობაზე

- 11.1. შპს „საქართველოს ფოსტა“ სახმელეთო ამანათის მომსახურების თაობაზე რეკლამაციას განიხილავს ასეთი გზავნილის შპს „საქართველოს ფოსტის“ მიერ მიღებიდან 2 (ორი) თვის განმავლობაში. შპს „საქართველოს ფოსტა“ უფლებას იტოვებს, აღნიშნული ვადის დარღვევით მიღებული რეკლამაცია განუხილველი დატოვოს და აცნობოს ამის შესახებ რეკლამაციის ავტორს.
- 11.2. რეკლამაციის წარდგენის უფლება აქვს გზავნილის გამგზავნს, ადრესატს, მათ წარმომადგენელს, უფლებამოსილების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტის საფუძველზე.
- 11.3. რეკლამაციის შესახებ განცხადება შპს „საქართველოს ფოსტას“ წარედგინება წერილობით, ხელმოწერილი სახით, რომელიც უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:
 - 11.3.1. განმცხადებელი ფიზიკური პირის სახელი და გვარი, იურიდიული პირის შემთხვევაში - სახელწოდება, ასევე განმცხადებლის მისამართი, ტელეფონის ნომერი და ელექტრონული ფოსტის მისამართი;

- 11.3.2. სახმელეთო ამანათის გამგზავნისა და ადრესატის ვინაობა და ადრესატის მისამართი;
- 11.3.3. იმ სახმელეთო ამანათის მონაცემები, რომელსაც ეხება რეკლამაცია (სახმელეთო ამანათის მაიდენტიფიცირებელი ნომერი, სერვისცენტრის ნომერი, სადაც მოხდა გზავნილის მიღება, გზავნილის მიღების თარიღი);
- 11.3.4. რეკლამაციის შინაარსი;
- 11.3.5. პასუხის მიღების სასურველი ფორმა (ზეპირად, წერილობით - მატერიალური დოკუმენტის სახით, ან ელექტრონული ფოსტის მისამართზე გაგზავნით).
- 11.4. განცხადებას თან უნდა დაერთოს განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი. ამასთან, თუ განმცხადებელი გამგზავნის/ადრესატის წარმომადგენელია, პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტთან ერთად წარმოდგენილი უნდა იქნას უფლებამოსილების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტი.
- 11.5. რეკლამაციის განცხადებისა და თანდართული დოკუმენტების წარმოდგენა განმცხადებელს შეუძლია შპს „საქართველოს ფოსტის“ ნებისმიერ სერვისცენტრში, ელექტრონული ფოსტის მისამართზე info@gpost.ge, ან ვებგვერდზე www.gpost.ge ციფრული სერვისის გამოყენებით.
- 11.6. შპს „საქართველოს ფოსტა“ რეკლამაციის განცხადებას იხილავს უსასყიდლოდ.
- 11.7. თითოეულ სახმელეთო ამანათზე რეკლამაციის წარდგენა ხდება ცალ-ცალკე.
- 11.8. რეკლამაციის განხილვის პროცესში შპს „საქართველოს ფოსტას“ უფლება აქვს მოსთხოვოს განმცხადებელს ნებისმიერი დამატებითი დოკუმენტის/მტკიცებულების წარმოდგენა, რომელიც დაადასტურებს განმცხადებლის პრეტენზიას.
- 11.9. წინამდებარე დოკუმენტის 11.3.-11.4. პუნქტებით განსაზღვრული ინფორმაციის სრულად წარმოდგენილობის შემთხვევაში, შპს „საქართველოს ფოსტა“ იტოვებს უფლებას, არ განიხილოს რეკლამაცია და აცნობოს ამის შესახებ რეკლამაციის ავტორს.
- 11.10. შპს „საქართველოს ფოსტა“ რეკლამაციის განცხადებას იხილავს მისი მიღებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში და მიღებული გადაწყვეტილების შესახებ განმცხადებელს აცნობებს მის მიერ შერჩეული ფორმით.
- 11.11. თუ წინამდებარე დოკუმენტის 11.10. პუნქტით განსაზღვრულ ვადაში რეკლამაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღება შეუძლებელია, განმცხადებელს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში ეცნობება რეკლამაციის განხილვის მიმდინარეობის შესახებ, ხოლო საბოლოო პასუხი მიეცემა რეკლამაციის განხილვის დასრულებისთანავე. მაგრამ არაუმეტეს რეკლამაციის შპს „საქართველოს ფოსტის“ მიერ მიღებიდან 2 (ორი) თვის განმავლობაში.
- 11.12. თუ რეკლამაციის განხილვის პროცესში შპს „საქართველოს ფოსტის“ მიერ განმცხადებლისგან მოთხოვნილია დამატებითი დოკუმენტების წარმოდგენა, მის წარმოდგენამდე რეკლამაციის განხილვის ვადის დენა ჩერდება.
- 11.13. შპს „საქართველოს ფოსტის“ მიერ მომხმარებლისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, ანაზღაურება გაიცემა შესაბამისი

გადაწყვეტილების მიღებისა და მომხმარებლის მიერ საბანკო რეკვიზიტების წარმოდგენიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.

- 11.14. მომხმარებლისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება წარმოებს ლარში, უნაღდო ანგარიშსწორების გზით. ამასთან, ანაზღაურების ოდენობის ლარში გამოსათვლელად გამოიყენება გადახდის დღეს მოქმედი ოფიციალური გაცვლითი კურსი.
- 11.15. შპს „საქართველოს ფოსტა“ ანაზღაურებას ახორციელებს იმ მომხმარებლის (გამგზავნის ან ადრესატის) სასარგებლოდ, ვის მიერაც წარდგენილია რეკლამაცია. ამასთან, ასეთ მომხმარებელს უფლება აქვს, ანაზღაურების მიღების უფლება დაუთმოს მეორე მხარეს ან მესამე პირს, თუ ამის შესახებ წერილობით აცნობებს შპს „საქართველოს ფოსტას“.
- 11.16. თუ ანაზღაურების შემდეგ დაკარგული სახმელეთო ამანათი მოძიებული იქნება, შპს „საქართველოს ფოსტა“ ამის შესახებ აცნობებს მომხმარებელს და განუმარტავს, რომ მას ერთი თვის ვადაში უფლება აქვს მიღებული ანაზღაურების უკან დაბრუნების სანაცვლოდ, მიიღოს მოძიებული გზავნილი. თუ მომხმარებელი შეტყობინების მიღების დღიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში არ აცნობებს შპს „საქართველოს ფოსტას“ საკუთარი სურვილის შესახებ, ან ამავე ვადაში უარს განაცხადებს გზავნილის მიღებასა და თანხის შპს „საქართველოს ფოსტისთვის“ დაბრუნებაზე, გზავნილი გადავა შპს „საქართველოს ფოსტის“ საკუთრებაში.

12. დასკვნითი დებულებები

- 12.1. თუ წინამდებარე დოკუმენტის რომელიმე დებულება ბათილია, მიუხედავად ბათილობის საფუძვლისა, ეს არ გამოიწვევს მთელი დოკუმენტის ბათილობას. ამ შემთხვევაში დოკუმენტის დარჩენილი დებულებები მოქმედებს ბათილი დებულების გარეშე.
- 12.2. ყველა იმ საკითხის რეგულირების მიზნით, რომელიც არ არის მოწესრიგებული წინამდებარე დოკუმენტით, მხარეები სარგებლობენ შპს „საქართველოს ფოსტის“ მიერ დამტკიცებული „მომხმარებლის სახელმძღვანელოთი“.
- 12.3. წინამდებარე დოკუმენტში შეტანილი ნებისმიერი ცვლილება და დამატება ძალაში შედის შპს „საქართველოს ფოსტის“ ვებგვერდზე www.gpost.ge განთავსების დღიდან.

დანართი #1

1. საბერძნეთი

- საბერძნეთის მიმართულებით სახმელეთო ამანათი იგზავნება მოკითხვამდე პირობით, სახმელეთო ამანათის ადრესატისათვის ჩაბარება ხორციელდება შპს „საქართველოს ფოსტის“ აგენტების ოფისებში.
- საბერძნეთის ტერიტორიაზე სახმელეთო ამანათის ჩაბარების ვადების ათვლა იწყება შპს „საქართველოს ფოსტის“ მიერ დადგენილი გაგზავნის დღიდან:

ქალაქი	ჩაბარების ვადა
ათენი, თესლონიკი, პირეოსი	4-6 კალენდარული დღე
კალამატა	7-8 კალენდარული დღე

- საბერძნეთში არსებული შპს „საქართველოს ფოსტის“ აგენტების და გზავნილების გაცემის პუნქტების მისამართები და სამუშაო საათები:

N.	ქალაქი	მისამართი	ტელეფონის ნომერი	სამუშაო საათები
1.	ათენი	Omonia - Geraniou № 44, (ძირითადი ოფისი)	Tel: 210 52 41 849 / 699 35 01 515	ყოველ დღე: 09:00სთ-დან- 19:00სთ-მდე
2	ათენი	Kipseli 11361, Sikinou №6	Tel: 210 86 47 705/ 6948325465	ყოველ დღე: 09:00სთ-დან- 19:00სთ-მდე
3	ათენი	Pagkrati - Damareos №43	Tel: 215 52 55 145	ყოველ დღე: 09:00სთ-დან- 19:00სთ-მდე
4	ათენი	Athens 10431, Ipponaktos #38, Neos Kosmo	Tel: +30 210 931 3917/ +30 690 785 5500	ყოველ დღე: 09:00სთ-დან- 19:00სთ-მდე
5	ათენი	Ampelokipi - Arkadias №13	Tel: 699 33 44 448 / 6941603030 / 211 41 50 946	ყოველ დღე: 09:00სთ-დან- 19:00სთ-მდე
6	ათენი	11251, Pipinou №70	Tel: 210 82 10 172 / 699 52 10 174	ყოველ დღე: 09:00სთ-დან- 19:00სთ-მდე
7	ათენი	15124, Neratziotisis №11	Tel: 699 69 98 585 / 694 39 19 991 / 2155014368	ყოველ დღე: 09:00სთ-დან- 19:00სთ-მდე
8	ათენი	10446, Aristomenous №93	+30 699 70 85 790/ 211 00 40 085	ყოველ დღე: 09:00სთ-დან- 19:00სთ-მდე

9	ათენი	10446 Platia, Agios Nikolaos 17	Tel: +30 211 417 1712 /+30 699 600 3424 /+30 699 327 7280	ყოველ დღე: 09:00სთ-დან-19:00სთ-მდე
10	თესლონიკი	Filippou 35.Zip Code 54631	Tel: : +30 695 596 2374/+30 2310 279 002	პრასკევი: 09:00სთ-დან-17:00სთ-მდე შაბათი: 09:00სთ-დან-15:00სთ-მდე კვირა: 09:00სთ-დან-12:00სთ-მდე
11	კალამატა	Kalamata 24100, Souliou №30	Tel: +30 272 109 7452 +30 697 894 5965 / +30 697 244 6596	ყოველ დღე: 09:00სთ-დან-19:00სთ-მდე
12	პირეოსი	Karaoli ke Dimitriou 28, Pireas 18532	Tel: +30 2104125472 Tel: +30 6995606622	ყოველ დღე: 09:00სთ-დან-18:00სთ-მდე

2. ესპანეთი

- ესპანეთის მიმართულებით სახმელეთო ამანათი იგზავნება მოკითხვამდე პირობით, სახმელეთო ამანათის ადრესატისათვის ჩაბარება ხორციელდება შპს „საქართველოს ფოსტის“ აგენტების ოფისებში.
- ესპანეთის ტერიტორიაზე გაგზავნილი სახმელეთო ამანათის ჩაბარების ვადების ათვლა იწყება შპს „საქართველოს ფოსტის“ მიერ დადგენილი გაგზავნის დღიდან:

ქალაქი	ჩაბარების ვადა
ბარსელონა	10 კალენდარული დღე
მადრიდი, ვალენსია, არნედო, აუტოლი, ალიკანტე, ბიკი, კალიოსა-დე-სეგურა, ორიჰუელა, მურსია, სან-პედრო-დელ-პინატარი, სან-ხავიერი	14 კალენდარული დღე

- ესპანეთში არსებული შპს „საქართველოს ფოსტის“ აგენტების და გზავნილების გაცემის პუნქტების მისამართები და სამუშაო საათები:

N.	ქალაქი	მისამართი	ტელეფონის ნომერი	სამუშაო საათები
1.	ბარსელონა	C/Espronceda 369_08027bcn, Sagrera_Navas	Tel: 34 632 484 787	სამშაბათი - 10:00 სთ-დან -21:00 სთ-მდე ოთხშაბათი - 10:00 სთ-დან -21:00 სთ-მდე ხუთშაბათი - 10:00 სთ-დან -21:00 სთ-მდე პარასკევი - 10:00 სთ-დან -21:00 სთ-მდე შაბათი - 10:00 სთ-დან -21:00 სთ-მდე კვირა - 10:00 სთ-დან -21:00 სთ-მდე ორშაბათი - დასვენების დღე
2	მადრიდი	Calle Francisco del Pino №26, 28021 Madrid	Tel: 34 631 161 214 Tel: 34 632 484 787	სამშაბათი - 10:00 სთ-დან -21:00 სთ-მდე ოთხშაბათი - 10:00სთ-დან -21:00 სთ-მდე ხუთშაბათი - 10:00 სთ-დან -21:00 სთ-მდე პარასკევი - 10:00 სთ-დან -21:00 სთ-მდე შაბათი - 10:00 სთ-დან -21:00 სთ-მდე კვირა - 10:00 სთ-დან -21:00 სთ-მდე ორშაბათი - დასვენების დღე
3	ვალენსია	Valencia-Xirivella, plaza del 21ercado n10 bajo 1. Zip code- 46950	Tel: +34 602 881 887 Tel: +34 632 48 47 87	ყოველ დღე - 10:00 სთ-დან -21:00 სთ-მდე
4	არნედო	Calle General Ruiz, 41, zip-code26580	Tel: +34 632 54 16 42 Tel: +34 632 48 47 87	შაბათი -10:00სთ-დან - 18:00სთ-მდე
